ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი **05.11.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე; (შემდგომში - თავმჯდომარე)
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის №55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
თამარ ზაალიშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
რამაზ გიუნაშვილი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ბექერი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:
მარინე ნადირაძე - შპს ცოდნის დირექტორი;
ინგა მაჩიტიძე - შპს არილის დირექტორი;
თამარ ჩუთლაშვილი - შპს ეტალონი 2015 - ის დირექტორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):
მაყვალა დარსანია;
იანინა გიგიბერია;
ქეთევან ბოტკოველი;
ნინო ფეტვიაშვილი;
ნელი ნასყიდაშვილი;
ნინო ბალანჩივაძე.

სხვა დამსწრე პირები:

მაია ჩიხლაძე – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, ა(ა)იპ – საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

სხდომა დაიწყო 16:30 საათზე, ლევან მადათოვმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს ახალი თავმჯდომარე - ირინა აბულაძე და სთხოვა მას წარედგინა საბჭოს ახალი წევრები. ლევან მადათოვმა შეახსენა საბჭოს წევრებს რომ არ იყვნენ უფლებამოსილნი თავი შეეკავებინათ ხმის მიცემისაგან. ამასთან სათათბირო ხმის უფლებით სხდომას ესწრებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი - მაია ჩიხლაძე.

თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრები საზოგადოებას. შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ცოდნისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს არილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ეტალონი 2015-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს ცოდნისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მაია ჩიხლაძეს სთხოვა შემოერთებოდა სხდომას, რათა პროფესიული პროგრამების სტრუქტურულ ნაწილში მისი მოსაზრებები მოესმინა საბჭოს.

დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაყვალა დარსანიამ. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა განაცხადი ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის დამატებაზე. ექსპერტმა ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში იკითხებოდა ჩანაწერი: მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სარკინიზგო გადამზიდავის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია, ჩანაწერი უნდა ყოფილიყო: სარკინიზგო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. (ვიზიტის დროს ეს შენიშვნა აღმოფხვრილი იქნა);

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში არ იყო მითითებული სასწავლო კურსის წინაპირობები, თუმცა სასწავლო გეგმაში საგნები გაწერილი იყო ლოგიკური თანმიმდევრობით. დაწესებულების წარმომადგენელმა გაითვალისწინა შენიშვნა და ვიზიტის მსვლელობისას წარმოადგინეს შესწორებული სილაბუსები;

- რამდენიმე სილაბუსში (რკინიგზის ზოგადი კურსი; რკინიგზის სადგურების მოწყობის საფუძვლები; სარკინიგზო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის საფუძვლები; საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლოატაციის წესები და სფეროს შესაბამისი ინსტრუქციები; რკინიგზის ტრანსპორტზე სატვირთო და კომერციული მუშაობის მართვის საფუძვლები) შეფასების სისტემა წარმოდგენილი იყო მრავალკომპონენტიანი (ორი შუალედური შეფასება - 60%, დასკვნითი შეფასება - 40%, თუმცა შეფასების სისტემაში არ იყო ქულობრივი ჩაშლა (გრადაცია). დაწესებულებამ ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინა სილაბუსები, სადაც ცვლილებები იყო შეტანილი, ჩაშლილი იყო შეფასების კრიტერიუმები.

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კატალოგში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანი და შედეგები ზოგადი ხასიათის იყო, მკაფიოდ არ იყო პროგრამის მიზანი და შედეგი ჩამოყალიბებული, აქედან გამომდინარე მომავალი სტუდენტისთვის ძნელი იქნებოდა გარკვევა თუ რომელი პროფესიული პროგრამა უნდა აერჩია.

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში შეიტანა ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობაში (კატალოგში) და წარმოგვიდგინა შესწორებული კატალოგი.

- დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის თანახმადაც დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში იღებდა ვალდებულებას პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით. დაწესებულებას დადებული ჰქონდა მემორანდუმი შპს - მრავალპროფილიან საგანამანათლებლო ცენტრ-კომპლექს „გონთან", რომელიც ახორციელებს მხოლოდ ოფისის მენეჯერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში დაწესებულება ამ პროგრამების სტუდენტებს უზრუნველყოფდა დაწესებულების სხვა პროგრამაზე მობილობით.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

- დაწესებულებას ქ. სამტრედიაში, კრავეიშვილის ქ.№1-ში ჰქონდა ფართი, სადაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. ამ ფართის ნაწილი (პირველი სართული) განკუთვნილი იყო პროფესიული სწავლებისთვის (204.5 კვ.მ.), ხოლო მეორე სართულზე განთავსებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (512.80 კვ.მ.), რომელიც უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით მესაკუთრე რევაზ ჯანჯღავამ გადასცა შპს „ცოდნას". იჯარით აღებული სპორტული დარბაზი მდებარეობდა მისამართზე: ქ.სამტრედია, ჩხეიძის ქ. №4.

- დაწესებულაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სწავლებისთვის დაწესებულებას ფართი არ ჰქონდა გამიჯნული, თუმცა ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება, სადაც ეს ფართები გამიჯნული იყო, ბრძანებაში იკითხებოდა, თუ რომელ ფართზე განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო და რომელ ფართზე პროფესიული სწავლება.

- დაწესებულებას ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულების სასწავლო კორპუსი აღჭურვილი იყო პანდუსებით, თუმცა დაწესებულებაში არ იყო სველი წერტილები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურების დროს აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე ეს საკითხი მოგვარდებოდა. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მომსახურების ხელშეკრულება - სველი წერტილების მოწესრიგების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა სარემონტო სამუშაოების დასრულებას 15 სექტემბრამდე.

სხდომაზე დაწესებულებამ წარმოადგინა სარემონტო სამუშაოების დასრულების ამსახველი ფოტოები, მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების სხვა პროგრამაზე გადაყვანის საკითხით. დირექტორის განმარტებით, მემორანდუმის გაფორმების მიზნით ჰქონდათ შეხვედრა სხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან და რადგან საქართველოს მასშტაბით მსგავსი პროფესიული პროგრამის შეთავაზება არავის შეეძლო, ამიტომაც გაფორმდა ხელშეკრულება საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექს „გონთან". ხოლო დანარჩენი სტუდენტებისთვის დაწესებულება უზრუნველყოფდა მათ სხვა პროგრამაზე გადაყვანას.

მაია ჩიხლაძის განმარტებით, ამ შემთხვევაში დაწესებულებას უნდა ჰქონოდა ვალდებულება, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, მილევად რეჟიმში უზრუნველყო

სტუდენტებისთვის მათ მიერ არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულება.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, რამდენად დიდი იყო აღნიშნულ პროგრამაზე მსურველების რაოდენობა და დატვირთვა (ცხრილი) როგორ იყო გადანაწილებული ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. დირექტორის განმარტებით, აღნიშნული პროფესიული პროგრამა წელიწადნახევრიანი იყო. დღის პირველ ნახევარში იფუნქციონირებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და დღის მეორე ნახევარში პროფესიული. დირექტორის განმარტებით, ასევე გამოჯნული იყო შენობის სართულები, სადაც განხორციელდებოდა სასწავლო პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა აბულაძე, დაინტერესდა რამდენად იყვნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები დაინტერესებული იმით, რომ გაეგრძელებინათ სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. დირექტორის განმარტებით, ინტერესი არ იყო მაღალი, იმიტომ რომ მოსწავლეების უმრავლესობა ორიენტირებული იყო უმაღლესი განათლების მიღებაზე, თუმცა მოსწავლეების გარკვეული ნაწილი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოთქვამდა სურვილს სწავლა გაეგრძელებინა აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნისათვის სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ცოდნას (ს/კ: 238730931) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	სარკინიგზო გადამზიდავი	მესამე	სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

2. შპს არილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ნინო ფეტვიაშვილმა, რომლებმაც ისაუბრეს დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

- სკოლა მოსწავლეებს სავალდებულო სახით სთავაზობდა რუსული ენის სწავლებას მეორე კლასიდან. სკოლას არ ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვა მეორე უცხოური ენის (რუსული ენა) მეორე კლასიდან სწავლებასთან დაკავშირებით. დირექტორმა ვიზიტის დროს, 1 სექტემბერს, გააგზავნა წერილი ქ. ბათუმის რესურსცენტრის უფროსის სახელზე, რომელსაც სთხოვდა შეუმდგომლობას განათლების სამინისტროსთან მეორე უცხოური ენის მე-2 კლასიდან სწავლებასთან დაკავშირებით.

2. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

- საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად შპს არილის მფლობელობაში იყო ქალაქ ბათუმში, თაყაიშვილის ქუჩა N36/38-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველ და მეორე სართულზე მდებარე 629.66 კვ.მ. ფართი. პირველ სართულზე ფართი შეადგენდა (კომერციული ფართი) - 260.09 კვ.მ.-ს (ს.კ. 05.23.26.003.01.522), ხოლო მეორე სართულზე (არასაცხოვრებელი ფართი) - 369.57 კვ.მ.-ს (ს.კ. 05.23.26.003.01.502).

სკოლის საკუთრებაში არსებულ ფართში მოხვედრა შესაძლებელი იყო კორპუსის ძირითადი სადარბაზოს გავლით. სადარბაზოში განთავსებული იყო საერთო ლიფტები. მეორე სართულზე მოხვედრა შესაძლებელი იყო ასევე ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილიდან მეორე სართულზე ამავალი ფართო პანდუსით. სკოლის დირექციასთან გასაუბრების და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის თანახმად დადგინდა, რომ იგეგმებოდა სკოლის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი შესასვლელების გაკეთება ორივე სართულზე (შენობის კონსტრუქცია ამის საშუალებას იძლეოდა). პირველ სართულზე განთავსებული იყო 7 საკლასო ოთახი, 1 ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისთვის, 1 დირექტორის და საქმეთა მმართველის ოთახი და სამი სველი წერტილი. მეორე სართულზე განთავსებული იყო 5 საკლასო ოთახი; ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებული იყო კომპიუტერები; 1 კვების ოთახი და 1 დიდი ოთახი - სპორტის გაკვეთილისთვის. მეორე სართულზე იყო სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა 629.66 კ.მ.

საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 12 დაფა, 146 ინდივიდუალური მერხი და სკამი, მასწავლებლის მაგიდები და სკამები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის საკუთრებაში იყო 135 ინდივიდუალური მერხი და 167 სკამი. სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 30 ერთეული სასკოლო მერხისა და 30 ერთეული სკამის დამზადებაზე. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად დასამზადებელი მერხების პარამეტრები და სკოლაში არსებული მერხები და სკამები შესაბამისობაში იყო მოთხოვნილ პარამეტრებთან.

სკოლას მეორე სართულზე ჰქონდა სპორტის სახეობებისთვის გამოყოფილი 63.15 კვ.მ. ზომის ოთახი, რომელშიც იდგა ჩოგბურთის მაგიდა შესაბამისი ატრიბუტიკით (ჩოგნები, მაგიდის ბადე) და გაფენილი იყო სავარჯიშო ტატამი. 2015-2016 სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სპორტის სახეობებად სთავაზობდა მძლეოსნობას, ჭადრაკს და მაგიდის ჩოგბურთს.

სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ინვენტარი განთავსებული იყო ერთ ოთახში. მიღება - ჩაბარების აქტის მიხედვით სკოლა ფლობდა 59 სახეობის 199 ერთეულ სხვადასხვა აღჭურვილობას. ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დადგინდა, რომ სკოლაში არსებული ლაბორატორია არ შეესაბამებოდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს ბრძანებას. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, ლაბორატორიის აღჭურვილობა 208 სახეობა და აღჭურვილობის ერთეულთა ჯამი დაახლოებით 641 იყო.

სკოლის შიდა პერიმეტრი არ კონტროლდებოდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 4 შიდა ვიდეო კამერის შეძენა-დამონტაჟებაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ლაბორატორიისათვის უკვე ყველაფერი შეძენილი იყო.

ექსპერტის განმარტებით ექსპერტთა ვიზიტის დროს ადგილზე ნანახი ლაბორატორია სწავლებისთვის იყო საკმარისი, თუმცა ვერ აკმაყოფილებდა ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ რეკომენდაციას, რომელშიც მოცემული იყო ლაბორატორიების ჩამონათვალი.

საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე დაინტერესდა იმ მოსწავლეების მდგომარეობით ვინც აღნიშნულ სკოლაში ავტორიზაციის გაუქმებამდე სწავლობდა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსწავლეები სხვადასხვა სკოლებში გადავიდნენ. საბჭოს თავმჯდომარემ დაზუსტება სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს მოცემული დროისათვის დაწესებულებაში ირიცხებოდნენ თუ არა მოსწავლეები. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში მოსწავლეები აღარ ირიცხებოდნენ, თუმცა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში კვლავ ელოდებოდნენ თავიანთი მოსწავლეების დაბრუნებას.

საბჭო დაინტერესდა პედაგოგების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენლების თქმით დაწესებულებას ჰყავდა 32 პედაგოგი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა ხარვეზები იყო დაფიქსირებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა დასკვნაში და რა მდგომარეობა იყო ამ თვალსაზრისით ამჟამად.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა პირველი ვიზიტის დროს, ლაბორატორიის ოთახს არ ჰქონდა ფანჯრები, მეორე ვიზიტის დროს დაიწყო სარემონტო სამუშაოები, მინა ბლოკების

ფანჯრებით შესაცვლელად. პირველი ვიზიტის დროს, შეფასებაში კრიტერიუმები და რუბრიკები არ იყო ჩაშლილი, რაც ექსპერტებს მეორე ვიზიტის დროს უკვე გასწორებული დახვდათ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რამდენად უსაფრთხო გარემო იყო საცხოვრებელ კორპუსში განთავსებულ სკოლაში მოსწავლეებისათვის. ექსპერტების თქმით სასურველი არ იყო, თუმცა არანაირი შეზღუდვა არ არსებობდა ამისათვის. ექსპერტთა თქმით, მოსწავლეებთან გასაუბრებით და დაკვირვებით გარემო უსაფრთხო ჩანდა. მეორე სართულზე გაკეთებული იყო ინდივიდუალური ასასვლელი პანდუსი, რომლითაც მხოლოდ სკოლა სარგებლობდა.

საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე კვლავ დაინტერესდა მოსწავლეების მობილობით, თუ ჰქონდა სკოლას ინფორმაცია მათი მოსწავლეები რომელ სკოლებში გადავიდნენ, კერძოში თუ საჯაროში, ან რამე საქმისწარმოების მასალები ხომ არ ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით. რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდნენ. ხათუნა ბარაბაძის თქმით, მართალია, 16 სექტემბრამდე მოსწავლეები მობილობით ვერ ისარგებლებდნენ, მაგრამ მობილობის გამოცხადების შემდეგ სხვა სკოლებში მოსწავლეების გადასვლის შემთხვევაში დირექტორი აუცილებლად იქნებოდა საქმის კურსში, თუნდაც მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და დოკუმენტაციის გაცემის გამო.

17:36 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:55 საათზე.

საბჭოს წევრმა გიორგი გიგიბერიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შემდეგ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა თუ არა სკოლაში და ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ ინფორმირებული იყვნენ თუ არა მოსწავლეთა მშობლები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ავტორიზაციაზე უარის თქმის შემდგომ სკოლაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა. მოსწავლეთა მშობლები ინფორმირებულნი იყვნენ ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, თუმცა მიუხედავად ამისა, მათ მაინც არ გადაიყვანეს მოსწავლეები სხვა სკოლებში.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ 2011 წლიდან დაიწყო ლიცენზირებული დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია, შპს არილი მიეკუთვნებოდა იმ დაწესებულებათა რიცხვს, რომელსაც საავტორიზაციო განაცხადი უნდა წარმოედგინა 2015 წლის 1 ივლისამდე. დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი, განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, 2015 წლის 20 აგვისტოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №14 გადაწყვეტილებით შპს არილს უარი ეთქვა ავტორიზაციის მინიჭებაზე. ამის შემდგომ, დაწესებულებამ ხელმეორედ მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით. ცენტრმა განახორციელა შესაბამისი საქმისწარმოება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობის დამტკიცებისთანავე შპს არილის ავტორიზაციის საკითხი საბჭოს წარედგინა განსახილველად. ლევან მადათოვის თქმით, სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი არ უნდა განხორციელებულიყო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღებამდე და მას არ უნდა ჰყოლოდა მოსწავლეები ბაზაში, ვინაიდან 2015 წლის 20 აგვისტოდან დაწესებულებას აღარ ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ ცენტრს მიმართა რეკომენდაციით გაერკვია, რამდენად იყვნენ მოსწავლეების მშობლები ინფორმირებულნი, რომ ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შემდგომ, უნდა გადაეყვანათ მოსწავლეები ავტორიზებულ სკოლებში და რა მდგომარეობა იყო სკოლაში ზოგადად მოსწავლეების კუთხით, კერძოდ უფიქსირდებოდა თუ არა დაწესებულებას არაავტორიზებულ რეჟიმში მოსწავლეების ყოლის ფაქტი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 160-ით.

ავტორიზაციის ექსპერტები დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას და განაცხადეს, რომ დაწესებულებას შეეძლო აღნიშნული რაოდენობის მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არილის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს არილს (ს/კ: 445387778) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

3. შპს ეტალონი 2015-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საექსპერტო დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნელი ნასყიდაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

- მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების პრინციპები მოიცავდა სკოლაში დანერგილი შეფასების მიდგომებს. დაწესებულების საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მიმდინარე და წლიური შეფასების პრინციპები შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, კერძოდ, დაწესებულებაში შეფასების სისტემა 5-8 კლასებში ფიქსირდებოდა ათქულიანი შეფასებით. კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალური ბარიერი (5.5 ქულა), ხოლო დაუძლეველობის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნებოდა საშემოდგომო გამოცდა, ექსპერტის განცხადებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა გამოცდის დანიშვნის და ჩატარების, ასევე, გაცდენილი შემაჯამებელი სამუშაოების აღდგენის პროცედურა. ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები 1-4 კლასებში ფასდებოდნენ ნიშნებით და ამ ნიშნების დაწერის სპეციალური სქემით: ტესტირებით და ზეპირი ფორმით. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის შეფასების სისტემა არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე შეხვედრის დაწყებამდე სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტს წარუდგინეს სასკოლო სასწავლო გეგმის შესწორებული ვარიანტი, სადაც 1 – 4 კლასში მოსწავლეების ქულებით შეფასების კომპონენტი ამოღებული ჰქონდათ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ თუ რატომ ახდენდა დაწესებულება ქულებით შეფასებას 1-4 კლასებში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული რეგულაცია მოსწონდათ მოსწავლეების მშობლებს. კერძოდ, ისინი თანახმანი იყვნენ მათი შვილები შეფასებულიყვნენ ქულობრივად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ნელი ნასყიდაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა რომ შენობა იყო ახლადაშენებული, სუფთა და ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე სსმ კატეგორიის ის მოსწავლეები, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით, სკოლის შენობას გააჩნდა მოძრავი (ასაკეცი) პანდუსი, რომელიც დამზადებული იყო საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ თბილისის მერიის გამოცემული

სახელმძღვანელოს „საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები ინვალიდებისათვის“ მიხედვით. გარდა ამისა, სასწავლებლის პირველ სართულზე იყო ადაპტირებული სველი წერტილები როგორც გოგოებისთვის ისე ბიჭებისთვის. დაწესებულების ნულოვან სართულზე სპორტული გაკვეთილისათვის განკუთვნილია ოთახი (87,7კვ. მ.), სადაც ჩატარდებოდა სპორტის სახეობებიდან სკოლის მიერ არჩეული მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და სპორტის გაკვეთილები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის. დარბაზი აღჭურვილი იყო შესაბამისი სპორტული ინვენტარით: გასაშლელი ლეიბები, ბაგირი, 2 ცალი შვედური კედელი, ფრენბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის ბურთები. საგანმანათლებლო დაწესებულების მეორე სართულზე განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ყველა საჭირო ნივთით აღჭურვილი, თუმცა ლაბორატორიაში დამონტაჟებული არ იყო გამწოვი სისტემა.

დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელზედაც ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, იგეგმებოდა სპორტული მოედნის მოწყობა ფრენბურთის გაკვეთილების ჩასატარებლად. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული სამუშაო დასრულდება სასწავლო წლის დაწყებამდე.

ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, დაწესებულების ორივე სართულზე გამოკრული იყო დამტკიცებული ევაკუაციის გეგმა და ხანძრისა და სტიქიური უბედურების დროს თანამშრომელთა და მოსწავლეთა მოქმედების ინსტრუქცია. მოსწავლეთა და მასწავლებელთა უსაფრთხოებას დღის განმავლობაში იცავდა დარაჯი. დაწესებულებას ჰქონდა 3 ცეცხლმაქრი, რომლებიც განთავსებული იყო შენობის ყველა სართულზე.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1. ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, დაწესებულებას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის კვალიფიციური სპეციალისტი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 200-ით.

ავტორიზაციის ექსპერტები დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას და განაცხადეს, რომ დაწესებულებას შეეძლო აღნიშნული რაოდენობის მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ეტალონი 2015-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ეტალონი 2015-ს (ს/კ: 440391933) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:25 საათზე.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე